ბრძანება:**ბ01.01203092**
თარიღი:**04/11/2020**
პინი:**5987**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება III მიკრორაიონში N34 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.034) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 თებერვლის N1-400 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N012027756-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქ. თბილსში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება III მიკრორაიონში N34 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.034) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 თებერვლის N1-400 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილსში, დიდი დიღომი, III მ/რ კორპ. N34, N37-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი N37-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.147, ნაკვეთი N5/34) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ქალაქ თბილსში, დიდი დიღომი, III მ/რ კორპ. N34, N37-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი N37-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.147, ნაკვეთი N5/34) მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, საცხოვრებელი) განსათავსებლად, განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ-1=0.7, კ-2=5.2“

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N012027756-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ

დასკვნასთან ერთად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0122011329**
თარიღი: **11/01/2022**
პინი: **2313**

ადრესატი: აბანობ სამერ სამი შაფიგ ---
პირადი ნომერი: 01191023206
მისამართი: თბილისი დიმიტრი უზნაძის ქ. N 111 ბ. 11

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2021 წლის 28 დეკემბრის N01213621019-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ კორ. N34, N37-ის მიმდებარედ. ; ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N37-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N5/34)-ში, N01.10.08.005.147 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 1615 კვ.მ.) გაცემულ ქალა თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებაში ცვლილებას ახალი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირების მიზნით.

პასუხად გაცნობებთ: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით N01.10.08.005.147 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,მალტი ფლეგს“-ი, აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს შესაბამისი მოთხოვნით უნდა მომართოს ნაკვეთის მესაკუთრემ (დირექტორი: მანსურ მაგდი მანსურ ფარაგ ელვერდანი) ან იქნეს წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული თანხმობა ან მინდობილობა აღნიშნული საქმის წარმოების ფარგლებში განმცხადებლისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

ამასთან, გაცნობებთ: განაცხადით დაფიქსირებული მოთხოვნა საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია ნაკვეთის ფართობის 4 კვ.მ.-ით გაზრდით უკვე აღბეჭდილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N№01.01203092 (04.11.20.) ბრძანებაში (იხ. დანართი). ვინაიდან დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება აღნიშნულ ბრძანებაში დაფიქსირებულ მონაცემებს, გაურკვეველია მოთხოვნილი ცვლილების არსი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე შუალედური გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, მისი გასაჩივრება შესაძლებელია საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია, ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი